

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. ВЪ редакціи газ. „Дროება“.

გაზეთის ღირებულება: მთელი წლისა — 8 მან., ნახევარ წლისა — 4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის — 3 მან., ერთის თვისა — 1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაშრატი

განცხადება: მიიღება ქათულის, რუსულის, ხომურის და სხვ. ენებზე.

ზასი განცხადებისა: ცალკე ნომერით ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე — 8 კაპ., ჩვეულებრივად ციკლოთი — 5 კაპ., პატრია — 4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

მოგვალ 1878 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა იმგვარადვე პროგრამით და მიზანთულებით, როგორც დღემდე გამოდრიდა ხოლმე.

ამ უკანასკნელი ნახევარი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ყოველ-დღიური გაზეთი ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ამიტომ მოგვალ წელსაც „დროება“ გუდავ დღე გამოვა, გარდა ორშაბათისა და უქმეების შემდეგ დღეებისა.

ხელის-მოწერა

თ ფ ი ს უ ი — მიიღება დროების რედაქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის სტამბაში (ბანოვის ქუჩაზე, ამატუნის სახლში).

ბარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Типографіи. ВЪ редакціи „Дროება“.

ზასი გაზეთისა

მთელის წლისა	8 მან.	„ კაპ.
ქვეის თვისა	4 „	50 „
ოთხის თვისა	3 „	„ „

მხოლოდ ამ ვადებით შეიძლება მომავლის წლიდამ გაზეთის დაბარება. შემორჩილესი თხოვნა ხელის-მოწერა და აგენტებს: **ხმადრი უფლი** გაზეთისა იმის დაბარებისა-თანავე უნდა იმხმეს გამოგზავნილი; თუ არ თავის აგენტის საშუალებით, ისე რედაქცია უფულოთ გაზეთს არავის არ გაუგზავნის.

რედაქციისაგან

თუმცა რამდენჯერმე გამოვაცხადეთ, რომ გაზეთი ამ თავითვე ფულის შემოუტანელად არავის გაეგზავნება-მეთქი, მაგრამ ამ დღეებში მაინც კიდევ რამდენიმე პირისაგან მივიღეთ მოთხოვნები, რომ უმორჩილესად ვთხოვთ მომავალი წლისთვის „დროება“ გამოგვიგზავნეთ და ფულს თავის დროს მიიღებთ.

ამის გამო საჭიროთ ვრაცხთ ამ ცალკე განცხადებით ვაცნობოთ ყველას, რომ თუ არ აგენტების საშუალებით, ისე მომავლის წლის გაზეთი ნისიათ არავის გაეგზავნება.

შემორჩილესად ვთხოვთ იმ ჩვენს აგენტებსა და ხელის-მოწერებს, რომელთაც წლებადღელი გაზეთის ანგარიში დღემდე არა აქვთ გასწორებული, რაც შეიძლება მალე გაასწორონ და ხვედრი ფული გამოგზავნონ.

ტელეგრაფები

სტამბოლი, 3 დეკემბერს. სერვერ-ფაშამ გაგზავნა ცირკულიარი ოსმალთს წარმომადგენლებთან, რომელშიაც აცხადებს, რომ დადგა დრო, როდესაც შეიძლება მორიგებაზე მოლაპარაკების დაწყება, რადგან რუსეთს შეუძლიან, თავის სამხედრო პატივი და სახელი დაკმაყოფილებლად ჩათვალოს. მაგრამ ამასთანავე ცირკულიარი ამბობს, რომ მორიგებაზე მოლაპარაკების დაწყება მხოლოდ იმ პირობით შეიძლება, თუ ოსმალეთის იმპერიის ერთობა დაცული იქნება. სერვერ-ფაშა თხოულობს, რომ მეროპის სახელმწიფოებმა იკისრონ ამ საქმეში შუამდგომლობა და ისეთი პირობების დადგენა, რომელიც რუსეთსაც და ოსმალეთსაც დააკმაყოფილებს.

სერბიის ჯარები ოსმალეთის სამხედროზე გადავიდნენ; ამათ ხორვატოვიჩი

მიუძღვის წინ. პორტამ გაუგზავნა მეროპის სახელმწიფოებს ამ საგნის შესახებ ნოტა, რომელშიაც აცხადებს სერბიისაგან პირობების დარღვევას.

ოპის აგებები

აზიის ბრძოლის ველიდან

შემოთ, ტელეგრაფებში, დაბეჭდილია „ჰავასის სააგენტოსაგან“ ჩვენს ქალაქში მიღებული დეპეშა, რომელიც ვაცნობებს, რომ ოსმალეთის უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრს — სერვერ-ფაშას პორტის უცხო ქვეყნებთან მყოფ ელჩებისათვის გაუგზავნა ცირკულიარი, რომელშიაც აცხადებს, რომ ახლა მორიგებაზე მოლაპარაკების დრო დადგა, რადგან რუსეთის თავ-მოყვარეობა დაკმაყოფილებული უნდა იყოს პლენოს აღების შემდეგ.

მაგრამ ამ მორიგებაზე პორტა მხოლოდ მაშინ დათანხმდება, თუ ოსმალეთის იმპერია ხელ-უხლებელი დარჩება, ე. ი. თუ რუსეთი არ მოინდომებს, რომ იმას რომელიმე თავის სამფლობელო მიწა ჩამოართვას.

სერვერ-ფაშა ამბობს, რომ რუსეთი და ოსმალეთი მეროპის უმთავრეს სახელმწიფოების შუამავლობით უნდა მორიგდნენ ერთმანეთში.

ინგლისურს გაზეთს „Daily News“-ში იწერებიათ შემბრდამ 28 ნოემბერს:

„ამ ორი კვირის განმავლობაში არზრუმთან არაფერი ამბავი არ მოხდება, რადგან იქ ამ ქამად საშინელი თოვლია და რუსის ჯარებს მოძრაობა შეუძლებელია. ამბობენ, რომ რუსის ჯარი გარს-შემოერთების ამ ქალაქს და სანამ კარგი დარები არ დადგება ამ მდგომარეობაში იქნებიანო.“

ამის გამო დ. მ. ძავკასიის ნამესტნიკი ახლა თფილისში წავიდა.

სტამბოლში მიუღიათ შემდეგი დეპეშა მუხთარ-ფაშისაგან გასული ნოემბრის 27-ს:

„რუსებს აქ ახალი ჯარები მოუვიდათ; დიდი თოვლი გვიმლის ჩვენ ყოველ სამხედრო მოქმედებას; ამ თოვლის წყა-

ლობათ არზრუმსა და ტრაპიზონს შუა აგრეთვე გზები თითქმის შეკრულია.

მრთს მენის გაზეთში „Presse“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა, რომელიც ამ გაზეთს 28 ნოემბერს მოსვლია სტამბოლიდან:

„მუხთარ-ფაშას ახალი ჯარები გაუგზავნეს აქედამ; მაგრამ არზრუმთან ორივე მოწინააღმდეგენი ამ ქაშად ცუდათ არიან გაჩერებულნი, რადგან, ღრმა თოვლის გამო, არცერთს მხარეს არავითარი სამხედრო მოძრაობა არ შეუძლიანთ.

„არზრუმის გარნიზონის უფროსობა და საზოგადოთ ამ ქალაქის დაცვა მინდობილი აქვს ღერევი-ფაშას ბათუმის ატრიალის უფროსს.“

„ამ ქაშად არზრუმში ოსმალოებს იმდენი სასამელო-საჭმელი აქვთ დამზადებული, რომ რვა თვის განმავლობაში ეყოფა ჯარსა და ხალხს. მხოლოდ წყლის ნაკლებობა კი აწუხებს აქ ოსმალოებს.“

მგროპის ბრძოლის ველიდან

როგორც წინათაც იწერებოდნენ, ოსმან-ფაშას სანამ რუს-რუმინების არმიის გარღვევა და პლენოდამ გამოცვლა უცდია, პარლამენტორი გაუგზავნია ღ. მ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისათვის და შემდგომი პირობები შეუთვლია:

შველა სარმარ მასალებს, რომელიც ამ ქაშად პლენოში იპოება, ე. ო. ზარბაზნებს, ტყვია-წამალს და სხვ., თქვენ დაგიმობთო. აფიცრები თოფ-იარაღით უნდა გავიდნენ პლენოდამი და ჯარი კი თოფ-იარაღს დაჰყრის, მაგრამ ხელუხლებელად უნდა გავიდეს და სოჭიში წავიდესო.

მაგრამ დიდი მთავარი ამ წინადადებაზე არ დათანხმდა; ამის პირობა იყო, რომ მთელი პლენოს არმია დამორჩილებოდა რუსებს და მხოლოდ აფიცრები გაენთავისუფლებინათ, ისიც იმ პირობით, რომ პატიოსანი სიტყვა უნდა მიეცათ, რომ ამ ომში მონაწილეობას არ მიიღებდნენ.

სულოეიმან-ფაშას გაუგზავნია სტამბოლში შემდეგი ტელეგრამა მლენასთან და მარენთან ბრძოლის თაობაზე, როდესაც ღენ.-ღერტ. თ. სვიატობოლკ-მირსკის ჯარები იყვნენ დამარცხებულნი:

„რუსის პოზიციები მლენასთან ღენ. ჟუდ-ფაშამ აიღო 22 ნოემბერს და ამასთან დაამარცხა რუსის ტახტის მემკვიდრის არმიის მარჯვენა ფლანგი; დამარცხებულმა რუსებმა ტირნოვოსაკენ დაიწიეს.

„ამ ბრძოლაში ჩვენ 300 რუსი და-

ვატყვევეთ და 3,000-მდინ იმათი დაზოცილები და დაჭრილები არიან.

„ჩვენმა ჯარებმა ჯერ მარენა აიღეს და მერე ყველა ის სიმაგრეები, რომელიც რუსის ჯარს მლენასთან ავკოთ. ჩვენის მხრით ამ ბრძოლის დროს 3 ბრიგადი იყო, რუსებს კი 16 ბატალიონი ჰყავდათ.

ამავე ტელეგრამის სიტყვით, შაქირ-ფაშა სოჭიდან მტრობოლისაკენ მოდის თავის ჯარებითა და შეჰმედ-პლი-ფაშა კი შამარლისაკენ.

ამავე (მლენასთან) ბრძოლის შესახებ ლონდონის გაზეთს „Daily Telegraph“-ში შემდეგ ამბავს იწერებინ:

„ოსმალოს ჯარი ორი მხრით მიადგა მლენასთან გამაგრებულ რუსის ატრიალს და ამ ნაირად იარ-ცეცხლს შუა მოხედნენ ისინი. ნაშუადღევს 3-ს საათზე ოსმალოებმა ხმშტით გამორეკეს რუსები თავიანთ სიმაგრეებიდან და აიღეს ციხეები. ბაქცეულ მტერს დიდ მანძილზე მისდევდნენ ოსმალოს ჯარები ტირნოვოს გზისაკენ.

შრანცუზულს გაზეთს „Le Temps“-ში იწერებინ სოჭიდან:

„მომეტებული ნაწილი აქაური მცხოვრებლებისა მირბის ქალაქადამ, რადგან ხალხში ხმა არის გავრცელებული, რომ დღე-ღამეზე რუსის ჯარი მოვაო.

„ამ დღეებში მოვიდა აქ შევექთ-ფაშა, რომელიც თავის ვალდებულების დაუდევნელად აუარულმობისათვის სამართალში არის მიცემული. იმას აბრალებენ ორხანისა და მტრობოლის დაკარგვას.

სამართველო

დღიური

* * * დღევანდელს ჩვენს გაზეთში იბეჭდება ახალი დროებითი ტაქსა ბირჟის იზვოსჩიკებისა. მართალია, ეს ტაქსა ცოტა არ იყოს ძვირია, მაგრამ ქალაქელები ძალა-უნებურად უნდა დაემორჩილონ ამ ჩვენი ქალაქის ჩჩევის გადაწყვეტილებას, რომელმანც მიიღო მხედველობაში ადამიანისა და ცხენის საზრდოს სიძვირე ამ ქაშად.

* * * ამ დღეებში რამდენიმე ოსმალოს დატყვევებულები მიჰყავდათ ჩვენ სალდათებს. ალექსანდროვის ბაღთან ერთი ამ ტყვეთაგანი როგორღაც ჩამორჩა დანარჩენებს უკან და იქით-აქეთ იხედებოდა. ამ დროს მივიდა იმასთან სალდათი, ერთი ლაზათიანათ შეუკურთხა და რამდენიმეჯერ გადაკრა ზურგზე მართანხი, რომელიც ხელში ეჭირა... საწყალმა ტყვემ დალუნა თავი, ხმა-ამოუღებელად გასწია წინ და თავის უბედურ ამხანაგებს მიეწია.

ძარგი იქნება, რომ მთავრობამ ამ გეგარ შემთხვევებს მიაქციოს ყურადღება და ამისთანა სურათებისაგან დაგვიცვან ჩვენ, ჩვენ, რომელიც „პირუტყვების დამფარველი საზოგადოება“ შევადგინეთ და სისხლი ყელში მოგვდის, როცა საწყალს პირუტყვს, მგონი, იმაზე უფრო საბრალლო გლეხი შოლტსა სცემს...

* * * მუთისიდან დიდ სიძვირეს იწერებინ საზოგადოთ ყოველგვარ ხორაგისა და შემისას.

* * * სამი კარგი წიგნი იბეჭდება ამ ქაშად ქართულ ენაზე: პირველი, ოთხ-მოქმედებიანი ტრაგედია „ბატონი-შვილი ირაკლი პირველის დრო“—თხზ. თ. ა. ჯამბაკურიან-მრბელიანისა; მეორე რომანი „სოლომან ისაკიჩი მეჯღანთა შვილი“—თხზ. ლავრენტი არდაზიანისა და მესამე ისტორიული მოთხრობა, „ანუკა ბატონი-შვილი“—თხზ. ბრიგოლ ჩჩეულაოვისა. ამ წიგნებს გარდა, სამიც სხვა იბეჭდება; მაგრამ იმათი დასახლებაც კი არა ღირს...

* * * ამ რამდენიმე დღის წინეთ ჰველაბარში ავაზაკებს ერთი ბაყალი მოუკლამთ; საბაბი ისა ყოფილა, რომ მას ცხრა თუმნიანი ვერცხლის ქამარი ჰკვრია წელზე.

მს ამბავი პირველი არ არის ჩვენში; ბევრს ალაგას დაუხოცამთ ჩვენი ზოვიერთი ქალაქის თავ-მომწონე ყარაჩუხალი ბიჭები ამ ვერცხლისა და ოქროს ქამრის გამო; ამისათვის ურიგო არ იქნება, ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ და ასეთი ძვირფასი ქამრების ტარება მოიშალონ.

მუთაისის სასულიერო სასწავლებელი
(წერილი რედაქტორთან)

შ. რედაქტორო! ძარვა ხანია, რაც მე თქვენს პატივცემულს გაზეთში არა წამიკითხავს-რა შესახებ ჩვენი სასწავლებლისა. მე აქამომდე იმას ვფიქრობდი, ეგებ ვინმემ აიღოს კალამი ხელში-მე-თქი; მაგრამ სხანს, რომ ყველას მოგეზრებია ჩვენი სასწავლებლის შესახებ წერა და აღარაუის მიუტყვევია ყურადღება მასზედ.

ნუთუ ამ სასწავლებელში არაფერი არ სწარმოებს ისეთი, არც ცუდი და არც კარგი, რომ ყურადღების ღირსი იყოს? თუ სულ არაფერი, — მაშინ ჩვენ, გაჩუმდეთ უნდა კი არა, თავი უნდა გავიხებთ-ქოთ ყვირილით, და თუ სწარმოებს რამე, ცუდი იყოს გინდ კარგი, რატომ იმაზე არაფერი უნდა ვსთქვათ! ამისათვის ნება მიბოძეთ, რომ მე მანც მოგახსენოთ ამ ზაგანზე ორიოდ სიტყვა.

მგონებ, უნდა მოგახსენებოდესთ,

რომ წასული წლის ნოემბერში აქ იყო ოფილისის სემინარიიდან გამოგზავნილი რევიზორი, რომელსაც უნდა გამოეკვლია და გაერჩია იმ უკმაყოფილებების მიზეზები, რომლებიც ზედამხედველს მოსდიოდა მუდამ სასწავლებლის სამმართველოს წევრებთან და რომლების გამოც სასწავლებლის საქმეები სულ ფუჭდებოდა.

მას აქეთ, როგორც ხედავთ, კარგა ხანი გავიდა, მაგრამ ჩვენ წასული ოქტომბრის პირველ რიცხვებამდის არაფერი ამბავი არ მოგვსვლია იმ გამოკვლევისა.

წასული ოქტომბერში აქ იმერეთის სამღვდლოებებს კრება გვექონდა, რომელზედაც გამოგვიცხადეს, რომ წინანდელი თქვენი ამორჩეული წევრები ოფილისის სემინარიის სამმართველომ დაითხოვა და იმათი ხელ-მეორეთ ამორჩევა აღარ შეიძლებაო. აქედან ცხადად დაინახეთ, რომ მგელი მგლის ტყავს სწორეთ თავის დღეში არ ღახეს. მაგრამ ჩვენ რაღა გავგეწყობოდა იქ, სადაც ძალა აღმართსა ხნავს. მხოლოდ ამას მოგახსენებთ, რომ ჩვენი წინანდელი ამორჩეული წევრები, ახლა კი არა, წასული წლის სექტემბრის შემდეგ, სულ დათხოვნილი და სასწავლებლის ზედამხედველზე მოშორებული არიან; მაგრამ ჩვენი პატივცემული ზედამხედველი კიდევ პოულობს მასწავლებლებშიაც მას აქეთ ისეთ პირებს, რომლებსაც თავის გულის ჯაერს თავზე ამცნობს და მოსვენებას არ აძლევს. იმისი რისხვა მხოლოდ იმ პირებს ხედება, რომლებიც იმას ზოგიერთ მოთხოვნილებაში ეწინააღმდეგებიან და რომლებმაც იმის ნათესაობაზე და იმის სახლობასთან დაახლოებაზედ უარი სთქვეს. ამისთანა მასწავლებელნი, როგორც გინდა სინიდიანათ იშრომონ, მაინც ვერ გადარჩებიან იმის ჩხუბსა და დაეხარებას. შენ რომ მასწავლებელი ხარ, ოღონდ-კი ზედამხედველს ნურას დროს პირში ნუ შეეტოქები, ოღონდ კი იმასთან ნათესავობრივი და სხვა დაახლოებული კავშირი იქონიე და კლასში გაკვეთილის დროს, სადაც სამოცრი შეგირდი სხედან, თუ გნებავს და სინილის მოგცემს, თავისუფლათ დაბრძანდი და მოისვენე, — ხმას არაიენ გავცემს. ამისთანა მასწავლებელნი ჩვენში ახლა ბლომათ გახლავსთ: ზედამხედველის ნათლის-მამები, სიძეები და სხვ.

აგვისტოს ოც-და-ორ რიცხვში დაიწყეს აქ ახალი მასწავლებლებისა და შეგირდების მიღება.

ახალ შემოსულ მასწავლებლებზე არ შემოიძლია არა ესთქვა, რომ ისინი ძლიერ მარჯვე ყმაწვილები არიან... მუშტის-კრივში და ნაშუალამეს ფაიტონებით სეირნობაში...

ზოგიერთ მათგანს ცხვირ-პირზედ აჩინა თავიანთი ნამოქმედარი.. ბარდა ამისა, ამ მასწავლებლებს სიმღერაც კარგი სცოდნიათ: კლასებში შედიან თუ გამოდიან, მუდამ მღერაინ სხვადასხვა სიმღერებს; მაგალითებრ: „ნეტავი შენ, ბარბალეე, ბარბალეე, ბარ-

ბალეე!“ და ან კიდევ რუსულათ; „ატკა-აზალა ძატი-ა, ძატი-ა, ძატი!“ ჩვენს ზედამხედველსაც ეს მასწავლებლები ამომავალ მზესაით მიაჩნია და სულ ამათ ღმერთს ლოცულობს, რადგანაც ესენი იმას არაოდეს პირში არ ეტოქებიან და სხვაგან იმათ, თუ უნდათ, ქვეყანაც რომ დააქციონ, იმას რა ენადვლება..

მე დავესწარი, სხვათა შორის, ამ ჩვენს მასწავლებელში რამდენიმე შეგირდის მიღებაზე. იქერდა ეგზამენს რამოდენიმე ყმაწვილი მეოთხე კლასში შესასვლელათ. მართმა ამთგანმა არ იცოდა სიმელო სარწმუნოებისა, არ იცოდა პროგრამით არითმეტიკა; მაგრამ ზედამხედველმა მიიღო, თუმცა ესენი ერის შვილები იყო. მეორემ კი, მღვდლის შვილმა, ჩინებულად დაიჭირა მესამე კლასის ეგზამენი; მაგრამ არ მიიღეს, ხნოვანება ნებას არ გაძლევს, ერთი კვირა გადაგიცილებიაო!

(დასასრული შემდეგ №-ში)

„დროების“ კორექცია

დ. ზუზულიძე, 27 ნოემბერს. ოც-და-ორს ამ თვემდის ჩვენს მხარეში მშვენიერი დარიყო და მცხუნვარე მზე ანათებდა განუწყვეტელათ; მაგრამ ეხლა კი ამ თვის ოც-და-ორიდან დღემდის უბრავედა ძრიელ ღონიერთათ აღმოხსენეთის ქარი.

ამ ქარმა ბევრი ზარალი უჩვენა მცხოვრებლებს: წააქცია ხეები და ხეხილები 15 წლის დარგული, ახლა ზოგან სახლებს სახურავები, წააქცია ღობეები, ქიშკრები (ალაყაფის-კარები) და სხვ.

მაგრამ ყველაზე უფრო ქარმა მით გვაზარალა, რომ სოფლებში ცეცხლი გაჩინა: სოფ. ხეთასა, ღარჩენსა და ხორგას. ცეცხლი გაუჩნდა ტყეებში მწყემსებს და დაიწვა როგორც ტყეები, აგრეთვე ს. ხეთას დაწვა სახლ-კარობა 53 კომოს გლეხებსა და მათ მიეცემოდათ კიდევ უფრო დიდი ზარალიც, უკეთუ აქაურ უეზდის ნაჩაღნიკის ფიცხელი განკარგულება არ გაეცა ცეცხლის გაქრობის თაობაზედ; ის თვითონ მაშინვე მიეშველა ს. ხეთასა, როგორც შაიტყო, რომ აქ ცეცხლი გაჩნდა...

თუ არ ეს ცუდი დღეები, ამ ქამად ჩვენს პატარა დაბაში კარგათ ვატარებდით დროებას, რადგან ინგურის ატრიადის შტაბი, სოხუმის სამხედრო განყოფილების ჩინოვნიკები და ჯარები მუშვიკითა და თავის ყოფნით ძრიელ აღხენენ აქაურებს.

ჩვენი პატარა დაბა-ქალაქი ყოველთვეობით უმჯობესდება. აქ არსებობს, როგორც მოგვხსენებთ, უეზდის სასამართლო, ორ-კლასიანი სასწავლებელი, ფოჩტის ნაწილი, სასოფლო სა-

სამართლო და დროებით მყოფი სამხედრო გოშპიტალი № 26; ხვედრთუ მომრიგებელი მსაჯულთა სასამართლო.

შოველს ბედნიერებას უკან მოსდევს უბედურება; ამისათვის აქაური მცხოვრებლები არასდროს არ ყოფილან ბედნიერნი მომრიგებელი მსაჯულებითა. ჩვენი ახალი მსაჯული განჩინების დადგენის დროს დაიარება იქით-აქეთ, უკან წელზედ ხელებ-შემოდებული, პროტოკოლს დიქტოვკით აწერინებს თავის თარჯიმანს და არას დროს ყურადღებით არ განიხილავს მომჩივანთ საქმესა. საქმის განხილვისა და თხოვნების მიღების დროს ძრიელ უწესო სიტყვებს ეუბნება საწყალს სოფლის ხალხსა...

ამას წინათ ერთმა გლეხმა შეიტანა იმასთან საჩივარი, რომ მე ვცხოვრებ სხვის მიწაზედ 17 წელიწადი არისო და ეხლა ადგილის პატრონი არ მაყენებსო. ამისთვის სთხოვა მოსამართლეს, რომ ამ ადგილიმ და არ გარდაესახლებია მიწის პატრონს და წინააღმდეგ შემთხვევაში — მიეცა მას ხეხილების ფსი, რომელნიც ამ ჩვიდმეტ წელში აკლეს იმის მიწაზე დაურგავს.

მსაჯულმა უპასუხა, რომ ამ საჩივრის მოგება არ შეიძლებაო, ადვოკატი ნუ მოგატყუილებსო; თუმცა უწყებას კი გავგზავნიო, მაგრამ გირჩევ მოურიგდე შინაურულათ; ძალით სტუმრობა არ იქნებაო, თუ მასპინძელს შენი სტუმრობა არ სურსო და კანონიც ათის წლის საქმის გარჩევაში არ შეეაო, და რაიცა შეეხება ხეხილების დარგვის ფასსაო, შენ არასფერი არ გერგება კანონითაო, რადგანაც ხეხილებს მიწა არ ჩენდაო!..

აქაური ხალხი უმეტესი ნაწილი უსწავლელი და ძრიელ ღარიბი ხალხია; ამათ საჩივრის გარდატანა ოკრუჟენის სულში და პალატაში სად შეუძლიანთ და, საუბედუროთ, რევიზორიც აქ გვიან-გვიან დაიარება. ამ ოთხის წლის წინეთ იყო აქ რევიზიისათვის სენატორი აგალინი და მან ჩვენს მომრიგებელ სასამართლოში იმდენი უწესოება შენიშნა, რომ იმ დროს მყოფი მომრიგებელი მსაჯული გადააყენა სამსახურიდან და იმას თან გააყოლა მისი სეკრეტარი თანაშემწეებითურთ და სხვ...

მართ ვინმე

უცხო ქვეყნები

ინგლისი

ბუშინ მოსულს „მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია ლონდონიდან მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს

რომ ყველა ლონდონის გაზეთებში, რომელნიც 29 ნოემბერს დილით გამოვიდნენ, დაბეჭდილია გრძელი სტატიები პლენოს ალების თაობაზე და იმ შედეგზე, რომელიც ამ გარემოებას მოსდევს.

ღვანის სიტყვით, ყველა ეს გაზეთები ერთხმად ამტკიცებენ, რომ პლენოს ალების შემდეგ, მორიგებაზე ლაპარაკის დრო დადგა.

მაგრამ სხვა-და-სხვა გაზეთები სხვა-და-სხვა ჰაზრს აცხადებენ ამ საგნის შესახებ: მმართველობის მომხრე გაზეთები („Standard“ და „Morning Post“) ამბობენ, რომ რუსეთის გამარჯვება ყველაზე უფრო ახლოს ინგლისს შეეხება და ამის გამო ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ან შევარიგოთ ახლავე მებრძოლნი და ან, თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ ჩვენც უნდა მივიღოთ მონაწილეობა ამ ბრძოლაში. ლიბერალური გაზეთები კი ამტკიცებენ, რომ ინგლისს ამ ბრძოლაში ხელი არა აქვს, მსმალთა და რუსეთი ერთმანეთში მორიგდება.

საზრუნავი

ერთს რუსულ გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი კერძო წერილი 30 ნოემბერს პარიჟიდან, მიღებული, რომელიც გვიმტკიცებს—თურთაგორ აღელვებული ყოფილა საფრანგეთში ამ ქამად ხალხი:

„ნამდვილია, რომ ნაციონალური ძრების რესპუბლიკელები არ დემორჩილებიან მარშალის შაკ-შაპონისა და სენატის მონარსისტების განკარგულებას, თუ ამათ გადაწყვეტეს ხელ-მეორედ ნაციონალური ძრებას დათხოვნა. ძრებისა და სენატის რესპუბლიკელი დეპუტატები ამ შემთხვევაში ლილში წასვლას

აპირებენ; აქ შეადგენენ ისინი კონგრესს, გამოსცემენ მანიფესტს და მოიწვევენ ხალხს, რომ თოფ-იარაღს მოჰკიდონ ხელი და კონსტიტუციისა და ყოველი კანონების დამარღვეველ მმართველობას ძალითვე გაუწიონ წინააღმდეგობა.

„ზოგიერთი კორპუსის კამანდირები, უეჭველია, რესპუბლიკელებს დაეხმარებიან თავიანთ ჯარით.

„მა მეორე კვირა მიდის, რომ არცერთი დეპუტატი ღამე თავის სახლში არ მიდის და არ წეება, რადგან ემინიანთ, რომ მმართველობა უეცრად დააჭერინებს იმათ და რევოლუციას მოახდენს. შეველა რესპუბლიკელი დეპუტატები რევოლუციით დაიარებიან. მრი დეპუტატი მუდამ ჩემთან მოდი და ჩემს სახლში ათევენ ღამეს.

„აქედამ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ—თუ რა მდგომარეობაშია ამ ქამად პარიჟი.“

ახალი ტაქსა ბირჟის ივოსსიკიპისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქერის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვის დამდანიშნა შემდეგი დროებითი ტაქსა:

	ფაეტონის	დროჟის
მრთი გზა	40 კაპ.	25 კაპ.
საათი	80 ”	55 ”
ქალაქიდან—ნავთლულს	80 ”	50 ”
— მუშტადამდინ —	60 ”	45 ”
— მუშტ. და უკან 1/2		
საათი გაჩერება 1 მან.	20 ”	90 ”
რკ. გზიდან ნავთ.—2 ”	—	1 მან. 50 ”
— დამოქნამდინ — 1 ”	50 ”	1 ” —
— ქალაქ. ყველგან 1 ”	—	— 70 ”
რკ. გზამდინ ქალაქ.— ”	80 ”	— 50 ”
— ნავთლულიდან 1 ”	50 ”	1 ” —
რკინის გზამდინ და უკან — — — 1 ”	30 ”	— 90 ”

შენიშნება). მრ ფუთამდინ ბოგაქისათვის ივოსსიკის არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

შენიშნება). ნაშუალაშვირს ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაეტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროჟის—40 კაპ. და საათის—80 კაპ.

განცხადებანი

ჩაის მაღაზია

პ. პ. კოპოვისა,

რომელიც იმყოფებოდა ბალავინის პროსპექტზე, შიოვეის სახლებში, ამ ქამად გადატანილია **მკაპენის მაღაზია, ტარასატურის სახლებში.** პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც კარგი, სუნნოვანი ჩაი ნებავეს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.

თფილისის მეორე გილდის ვაჭარი
რაქმან ბაღინიძე

მივცემა

სასესხებელი ფული

იმ პირობით რომ მოვალემ მუდამ კვირას ანუ თვეში გადაიხადოს ნაწილ-ნაწილად. უფრო დაწვრალებული პირობების შეტყობა ბულაკოვსკისთან, მორონცოვის ხიდზე, ზუბალოვის სახლებში, მარშაის ფენსაცმლის მაღაზიაში, მუდამ დღე დილის 9 საათიდან ნაშუალდევის პირველ საათამდინ.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა „**სოლი ვიტირო თუ ფული?**“

მთხ-მოქმედებიანი კომედია
უფ. ალ. ა. თუთავეისა

რკ. გზა.	დილა.	საღამ.	III კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	ბირჟა	მან. კაპ	გაყანდა	მან კაპ
თფილისი	921	518			მცი სიტყვა თფილისიდან:		პეტერბურგი, 28 გიორ.		თფილისი, 2 ქრისტოშ.	
მცხეთა	1011	627	- 68 -	38	ქუთაისს, შოთს	1 —	მრთი ანეთი ღიხს:		შქვ. თეთ. ბანჯისა, უთ.	2 —
ზორი	1158	943	2 40	1 23	ზორს, ჭუშეთს, სიღნაღს	50 —	ლონდონში 24 პენსი.	78	შქვილი წითელი	180
ხაშური	129	1157	3 92	2 18	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2 —	პარიჟში 252 ანტიმი.	62	ქერი ფული	140
სურამი	144		4 42	2 46	პეტერბურგს, პარშავას	2 —	სკონტი (სარგებლობისთვის)	71	ბამბა მრევისა, ფული	820
შვირილა	549		5 81	3 23	მსმალეთში, შვეიცარიაში	3 —	ბანკის ბილეთი 5%	95	— ამერიკისა, ფული	850
რიონი	647		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	მოგვიბინი (პირველისა	21 25	ბაპენტილი ბამბა ფული	950
სამტრედია	741		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მოგვიბინი (მეორე ხესხი)	215 50	მატული თუშური ფა	7 —
ახ.-სენაკი	—		8 57	4 76	უოზბა		ბირაოს ფურცლები:		— თარაქამისა ფა	350
ფოთი	940		9 75	5 42	აკ) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. მზურ. — პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან: თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურგეთს—ორშ. და პარასკ.		თფილ. სააზნ, ბანკისა.		აბრეშუმში ნუხური სტ.	3 —
შოთი	913				წიგნის გაგზავნა რუსეთში კაპ.		ხერსონის ბანკის (ნაშ.)	85 25	ქონი, ფული	680
ახ.-სენაკი	—		1 18	- 66	და სამზღვარ გარეთ:		მოსკოვის (ნაშ.)	85 50	ქონის სათელი ფული	10 —
სამტრედია	1116		2 61	1 14	წიგნის გაგზავნა რუსეთში კაპ.		აკ) ციციები:		სტეპარინის სათელი, ფ.	1560
რიონი	1213		3 41	1 69	წიგნის გაგზავნა რუსეთში კაპ.		მდესის სავაჭრო ბანკის	177 —	ხორცი ძროხისა, ლიტ.	60
შვირილა	1118		3 98	2 21	წიგნის გაგზავნა რუსეთში კაპ.		შოთი-თფილ. რკინ. გზის	—	— ცხვრისა, ლიტრია	60
სურამი	512		5 33	2 96	წიგნის გაგზავნა რუსეთში კაპ.		შაიზლის ცეცხ. გემების	527 —	სპირტი, გრადუსი	12
ხაშური	539		5 84	3 24	წიგნის გაგზავნა რუსეთში კაპ.		ქაქაზის და მერკურის	225 —	შაქარი, ბროც. ფული	10 —
ზორი	75		4 87	3 64 9	წიგნის გაგზავნა რუსეთში კაპ.		პირვ. საზღვევ. საზღვევ.	745 50	— ფენილი ფული	8 —
მცხეთა	850		6 59	9 85 4	წიგნის გაგზავნა რუსეთში კაპ.		პეტერბ. საზღვევ. სავ.	235 50	ქაქა გრვავალი, ფული	28 —
თფილისი	931		7 56	9 75 5 42	წიგნის გაგზავნა რუსეთში კაპ.		მოსკოვის საზღვევ. სავ.	268 —	შეთი ქუნჯუთისა ფული	13 —
					წიგნის გაგზავნა რუსეთში კაპ.				მქრო 1/2 იმპერიალი	818